პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

9
დეკემბერი
შაბათი,
1961 წ.
№ 200 (1836)
გამოცემის მე-18 წელი.
ფასი 3 კაპ.

მესტიაში გაიკვალა თოვლის ყამირი

შესანიშნავმა ბუნებრივმა პირობებმა, ხანგრძლივმა ზამთარმა, სპორტისადმი სიყვარულმა მესტიელებს შესანიშნავი მთამსვლელებისა და კარგ მოთხილამურეთა სახელი მიაკუთვნა. უკანასკნელი წლების განმავლობაში ბაკურიანში არ ჩატარებულა რესპუბლიკური პირველობა, სადაც სვანეთის მთებში გაზრდილ ვაჟკაცებს წარმატებით არ დაეცვათ მშობლიური რაიონის სპორტული ღირსება.

განსაკუთრებით კარგი სლალომისტებისა და მორბენლების აღზრდის საშუალებას იძლეოდა მესტიის ბუნებრივი პირობები და მართლაც ა. ჯაფარიძეს, გ. ჯაფარიძეს, ა. დადვანს და სხვებს კარგად იცნობენ ჩვენს რესპუბლიკაში, იცნობენ მის ფარგლებს გარეთაც, რადგან ამ ჭაბუკებს აოა ერთხელ მოუხდათ საქართველოს სპორტული სახელის დაცვა საკავშირო სარბიელზეც.

მაგრამ მარტო ნიჭი როდი კმარა, მისი გაშლისათვის ხშირად საჭიროა გარემო პირობებიც — ბაზები. ტრამპლინის მოწყობაში სათანადო დახმარება მესტიელებს „კოლმეურნის“ ცენტრალურმა საბჭომ აღმოუჩინა და გასულ წელს მოეწყო პირველი ოფიციალური შეჯიბრებები. მაშინ გ. ჯაფარიძემ დაამყარა ტრამპლინის რეკორდი — 42 მეტრზე გადახტა.

და აი, დადგა ზამთრის ახალი სპორტული სეზონი, მესტია თოვლით დაიფარა, გაჩნდა თხილამურების პირველი ნაკვალევი, დღის წესრიგში დადგა ტრამპლინი, სლალომის ტრასები.

„კოლმეურნეს“ ცენტრალური საბჭოს ინიციატივით მესტიას ეწვივნენ ბაკურიანისა და თბილისის საუკეთესო სპორტსმენები. ისინი მოვიდნენ, რათა მონაწილეობა მიეღოთ ადგილობრივ მოთხილამურეთა ზამთრის სეზონის გახსნისადმი მიძღვნილ ზეიმში.

შესანიშნავი ამინდი დაუდგათ ზეიმის მონაწილეთ — სპორტსმენებსა და მათ მრავალრიცხოვან გულშემატკივრებს. ამინდით კმაყოფილნი იყვნენ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მუშაკებიც. საზეიმო განწყობილება თანდათან ძლიერდებოდა სეზონის გახსნისათვის დამაკმაყოფილებელი შედეგებით.

ამ დღეს გაუმჯობესებას გადარჩა გ. ჯაფარიძის რეკორდი. ერთ-ერთ ცდაზე ბაკურიანელმა ოსტატმა პ. გავამ ტრამპლინიდან ხტომაში 48 მ აჩვენა, მაგრამ უკანასკნელ მომენტში თავი ვერ შეიკავა — დაეცა. მასვე დარჩა გამარჯვება შეჯიბრების ამ სახეობაში, როცა ორი დარჩენილი ცდის ჯამში 74,5 მ აჩვენა, მეორე ადგილზე გამოვიდა გ. ჯაფარიძე — 72,5 მ, მესამეზე — მისი თანაგუნდელი ფ. ფილფანი — 71 მეტრი (ორივე მესტიიდან).

თუ ტრამპლინიდან ხტომაში კარგად გამოვიდნენ მესტიელები, სლალომში ყველა საპრიზო ადგილი სტუმრებს დარჩათ. 300-მეტრიან დისტანციაზე (25 კარი) ორი ცდის ჯამში პირველი იყო ი. ჯანგობეგოვი, ხოლო მეორე შ. კოზანაშვილი (ორივე ბაკურიანიდან). აქ მესამე ადგილი წილად ხვდა ო. ხვედელიძეს (თბილისი). მასპინძლებიდან აღსანიშნავია 14 წლის ბ. კაჩიანის კარგი მაჩვენებელი.

ასე, მესტიელებმა გახსნეს სათხილამურო სეზონი და შეუდგნენ ზამთრის რესპუბლიკური სპარტაკიადისათვის სამზადისს.

გამარჯვებულთა დაბრუნება

გუშინ სამხრეთ ამერიკიდან მოსკოვს დაბრუნდა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები „გუნდი“, რომელიც ცნობილია, საბჭოთა გუნდმა სამი მატჩი ჩაატარა ლათინურ ამერიკის „უძლიერეს“ გუნდებთან და სამივე თავის სასარგებლოდ დაამთავრა: არგენტინასთან — 2:1, ჩილთან — 1:0 და ურუგვაისთან—2:1.

დედაქალაქის სპორტულმა საზოგადოებრიობამ შერემეტევის აეროდრომზე გულთბილი შეხვედრა მოუწყო გამარჯვებულებს. სიტყვებით გამოვიდნენ ნაკრების მთავარი მწვრთნელი გ. კაჩალინი და გუნდის კაპიტანი ი. ნეტო.

დარჩა მხოლოდ სამი პარტია

დასასრულს უახლოვდება შჩეგოლევ-კუპერმანის მატჩი მსოფლიო პირველობაზე 100-უჯრიან შაშში. XVII პარტია, რომელიც ლენინგრადში გათამაშდა, კვლავ ყაიმით დამთავრდა და მატჩის ანგარიში გახდა 9,5:7,5 კუპერმანის სასარგებლოდ.

პრეტენდენტები ბრძოლას განაგრძობენ მოსკოვში, სადაც მოეწყობა მატჩის დასკვნითი 3 პარტია. კუპერმანს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დასაბრუნებლად ყოფნის სულ 1 ქულა, მაშინ, როცა შჩეგოლევს სულ ცოტა 2,5 სჭირდება. როგორც ჩანს, ახალგაზრდა ჩემპიონი მეტად ძნელი ამოცანის წინაშე დგას.

„ადმირალტეეცის“ ნაცვლად „დინამო“

ლენინგრადის საფეხბურთო ფედერაციის გადწყვეტილებით მომავალ წელს სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებს შორის ლენინგრადის „აღმირალტეეცის“ ნაცვლად მონაწილეობას მიიღებს ლენინგრადის „დინამო“.



ფ. ნანსენის ხსოვნის საღამო

ამ რამდენიმე დღის წინათ მოსკოვში, საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხებთან მეგობრობის სახლში შედგა გამოჩენილი ნორვეგიელი პოლარული მკვლევარისა და ჰუმანისტის ფ. ნანსენის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამოზე სიტყვებით გამოვიდნენ საზოგადოება „სსრ კავშირ-ნორვეგიის“ თავმჯდომარის მოადგილე, მწერალი, ე. დოლმატოვსკი, საზოგადოება „ნორვეგია-სსრ კავშირის“ გენერალური მდივანი — ე. დანიელსენი და სხვანი.

საღამოზე ექსპონირებული იყო ფ. ნანსენისადმი მიძღვნილი გამოფენა.

ორი მატჩი შვედებთან

საბჭოთა კავშირის ჰოკეისტებთან სტუმრად იმყოფებოდნენ შვედი სპორტსმენები, რომლებმაც ჩაატარეს ორი მატჩი მოსკოვის კლუბების ნაკრებთან.

პირველ მატჩში მოსკოველებმა დაამარცხეს შვეციის ნაკრები ანგარიშით 2:1. მეორე შეხვედრა სტუმრებმა ჩაატარეს დიდი აღმავლობით და აიღეს რევანში — 5:2.

ბაქოელ მოცურავეებთან მატჩში

ეს სპორტსმენი სამჯერ გამოვიდა სტარტზე და სამჯერვე გამარჯვება მოუტანა თბილისის კოლექტივს. მას მანამდეც კარგად იცნობდნენ ჩვენი სტუმრები. იცოდნენ რომ ი. ფუნიკოვი საკავშირო რეკორდს ფლობდა 100 მეტრზე ბრასით ცურვაში, მეორე ადგილზე იმყოფება უძლიერესთა ათეულში და მეოთხეს არ გაცილებია ამავე სტილით 200 მეტრზე ცურვაში. იცოდნენ, რომ იგი საქართველოს რეკორდსმენი და ჩემპიონია, მაგრამ ტიტულებს არ შეუშინებია ბაქოელი. ს. კოზლოვსკიმ კარგად იცოდა, რომ „ცდა ბედის მონახევრეა“ და სპორტში ხშირად აქვს ადგილი მოულოდნელობებს.

„უკანასკნელ ამოსუნთქვამდე“ იბრძოდა ბაქოელი, მაქსიმალურად იყენებდა მთელ თავის შესაძლებლობებს, მაგრამ ფუნიკოვმა დაამარცხა თავისი მეტოქე და პირველმა დაამთავრა დისტანცია, როგორც 100 და 200 მეტრზე ცურვაში, ისე კომბინირებულ ესტაფეტაში.

• • •

სურათზე: ი. ფუნიკოვი ცურვის დისტანციაზე.
ფოტო ი. იუნაევასა.

ფრანგბურთელთა დიდი ასპარეზობის დაწყებამდე

ფრანგბურთელთა ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს 20 ქვეყნის ვაჟთა, და 14 ქვეყნის ქალთა გუნდებმა. ვაჟთა და ქალთა გუნდები დაყოფილი არიან 2-2 ჯგუფად. ვაჟთა შორის „ა“ ჯგუფში ერთმანეთს შეხვდებიან: ბულგარეთი-რუმინეთი (II გუნდი), გდრ-ტუნისი-მაროკოს მატჩში გამარჯვებული, საფრანგეთი — გფრ-აუსტრიის მატჩში გამარჯვებული და სსრკ-უნგრეთი. „ბ“ ჯგუფში ერთმანეთს ხვდებიან: რუმინეთი (I გუნდი) — ბელგია-თურქეთის მატჩში გამარჯვებული, იუგოსლავია — არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა-შვეიცარიის მატჩში გამარჯვებული, პოლონეთი — პორტუგალია-ლუქსემბურგის მატჩში გამარჯვებული, ჩეხოსლოვაკიას შეჯიბრების ამ ეტაპზე მიწინააღმდეგე არა ჰყავს.

ქალთა შორის „ა“ ჯგუფში ერთმანეთს ხვდებიან სსრ კავშირი — ლუქსემბურგ-აუსტრიის მატჩში გამარჯვებული, საფრანგეთი — უნგრეთ-თურქეთის მატჩში გამარჯვებული, რუმინეთი — გფრ-პორტუგალიის მატჩში გამარჯვებული. იუგოსლავია თავისუფალია. „ბ“ ჯგუფში მოხვდნენ: ჩეხოსლოვაკია, გდრ, ბულგარეთი და პოლონეთი, რომელთაც ამ ეტაპზე მოწინააღმდეგეები არა ჰყავთ.

ჩემპიონატის წინასწარი თამაშები უახლოეს დღეებში დაიწყება.

საბჭოთა სპორტსმენთა უანგარო მეგობრობა შემდგომი წინსვლის საწინდარია!

102 თანრიგოსანი

თბილისის სპორტულ ბაზებზე რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა „შრომითი რეზერვების“ IV საქალაქო ტრადიციული სპარტაკიადა. სპორტის 9 სახეობაში გამარჯვებისათვის იბრძოდა 12 კოლექტივის 800-მდე ფიზკულტურელი. პირველობას ძირითადად ერთმანეთს ეცილებოდნენ რკინიგზის 1-ლი სახელოსნო და № 6 პროფტექნიკური სასწავლებლის გუნდები.

რკინიგზის სასწავლებლის სპორტსმენებმა (ინსტრუქტორი გ. ყიფიანი) გამარჯვება მოიპოვეს ტანვარჯიშსა და მაგიდის ჩოგბურთში. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ფეხბურთში, ცურვაში, კალათბურთში, ფრენბურთში და გაინაღდეს საერთო პირველი ადგილი. მეორე ადგილი დაიკავეს №-6 პროფტექნიკური სასწავლებლის ფიზკულტურელებმა, მესამე — ინდუსტრიული ტექნიკუმის გუნდმა.

გოგონათა შორის პირველნი იყვნენ 23-ე სახელოსნო სასწავლებლის სპორტსმენები. შეჯიბრების პროცესში 102-მა სპორტსმენმა შეასრულა სათანრიგო ნორმატივი.

ი. რუხაძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.



სპორტი — ბიბლიოთეკა

სპორტსმენთა გამარჯვებით

ქუთაისის დოსაააფ-ისა და „დინამოს“ ბაზებზე დამთავრდა სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა საქალაქო შეჯიბრება ტყვიით სროლაში.

წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედინსტიტუტის გუნდმა (მწვრთნელი ა. კოვზირიძე) მაღალ დონეზე ჩაატარა ტურნირი და მოიპოვა ქალაქის ჩემპიონობა. მომდევნო ადგილებზე დარჩნენ „განთიადისა“ და „სპარტაკის“ კოლექტივები.

პირად პირველობაზე 2-2 პირველი ადგილი დაიკავეს დინამოელმა შ. სოფრომაძემ (მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში) და რ. ხახანაშვილმა (პედინსტიტუტი) — მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან სროლაში.

ი. გუხაიძე

ლენინაკანელები ქუთაისში

ამას წინათ ქუთაისს ეწვივნენ ლენინაკანელი სპორტსმენები, რომლებმაც ქალაქის სპორტულ დარბაზში ამხანაგური შეხვედრები გამართეს ფრენბურთსა და კალათბურთში. პირველ დღეს ქუთაისელ ქალთა გუნდმა ანგარიშით 3:0 დაამარცხა სტუმრები. ვაჟთა შეხვედრაში გამარჯვება სტუმრებმა მოიპოვეს — 3:2; კალათბურთში როგორც ქალთა ისე ვაჟთა შორის გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ (ქალებს — 40:35, ვაჟებს — 60:26).

მეორე დღეს ქუთაისელმა ფრენბურთელებმა ერთნაირი ანგარიშით — 3:0 დაამარცხეს ლენინაკანელები. დიდი ინტერესი გამოიწვია კალათბურთელთა შეხვედრებმა. ქალთა შორის სტუმრებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და დაწინაურდნენ — 5:0, მაგრამ პირველი ნახევრის დამთავრებამდე ანგარიში გათანაბრდა — 14:14. მეორე ტაიმში მასპინძლებმა ვერ გაუძლეს ლენინაკანელთა იერიშებს და განიცადეს დამარცხება— 30:43.

საინტერესო გამოდგა ვაჟთა შეხვედრა. მართალია, პირველი ნახევარი, რომელიც თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, ლენინაკანელებმა მოიგეს — 21:20, მაგრამ საბოლოოდ მათ მაინც განიცადეს დამარცხება — 43:47. ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი მიუძღვის მზარდ სპორტსმენს საკანდელიძეს, რომელმაც გუნდს 26 ქულა მისცა.

* * *

სურათზე: ლენინაკანისა და ქუთაისის კალათბურთელ ქალთა შეხვედრის მომენტი. გარღვევაზეა ქუთაისელი ლ. არსენიშვილი.

ტექსტი და ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.

ეროვნული სპორტსმენები

კარგ ტრადიციად დამკვიდრდა თბილისელ ფრენბურთელთა ყოველწლიური მონაწილეობა კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილ თასის გათამაშებაში.

გამონაკლისს არც მიმდინარე წელი წარმოადგენდა. დასანანი მხოლოდ ის იყო, რომ საპატიო ჯილდოს მოსაპოვებლად, რომლის გათამაშება ამჯერად საიუბილეო თარიღს — კონსტიტუციის XXV წელს დაემთხვა, შეჯიბრებაში მონაწილეობა ვერ მიიღეს ჩვენი რესპუბლიკის უძლიერესმა გუნდებმა — სასოფლო-სამეურნეო ვაჟთა და ფიზკულტურის ინსტიტუტის ქალთა გუნდებმა. მათი საქციელის ოდნავ გამართლება მხოლოდ იმით შეიძლება, რომ გუნდები საბჭოთა კავშირის პირველობისათვის ემზადებიან.

ვაჟთა გუნდების შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო ფრენბურთელთა რვა კოლექტივმა — თბილისის განათლების განყოფილების, ფიზკულტურის ინსტიტუტის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის, პედაგოგიური ინსტიტუტის, პლასტმასის ქარხნის, კოტონის წინდების ფაბრიკის, 26 კომისრის რაიონისა და უნივერსიტეტის გუნდებმა.

ქალთა შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის, უცხო ენათა ინსტიტუტის, პედაგოგიური ინსტიტუტის, 26 კომისრის რაიონის, პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და თბილისის განათლების განყოფილების ფრენბურთელთა გუნდები. ვაჟთა ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის გუნდები. ნახევარფინალში მათ შესაბამისად დაამარცხეს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და კოტონის წინდების ფაბრიკის გუნდები.

უაღრესად დაძაბულმა ფინალურმა შეხვედრამ გამარჯვებული მხოლოდ მეხუთე გადამწყვეტ პარტიაში გამოავლინა. ეს იყო ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი. ამგვარად, საპატიო თასის მფლობელები ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლები გახდნენ.

ქალთა გუნდების ფინალური ბრძოლა გაიმართება დღეს.

ლ. თუშიშვილი

ყამირის მხარეში

ეს იყო 4 თვის წინათ, ჩრდილო ყაზახეთის მიწების ათვისებაზე მომუშავე ახალგაზრდებს კოკჩეტავის ოლქის კხილ-ტუს რაიონის ჩერნიგოვის პურის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობას ესტუმრა საქართველოს სპორტული დელეგაციის ერთი ჯგუფი საქართველოს „კოლმეურნიდან“. მაშინ ქართველმა მეგობრებმა ყამირელებს საქმიანი დახმარება აღმოუჩინეს ფიზკულტურული მუშაობის გაშლაში.

ერთი თვის შემდეგ, გამოცდილების გაზიარების მიზნით ყამირელებმა ჩვენს რესპუბლიკაში მოავლინეს თავიანთი წარმომადგენლები პრაქტიკული მუშაობის ადგილზე გაცნობისათვის. ისინი იყვნენ მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში, ნატანების ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, ქობულეთის რაიონის ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, სიღნაღის რაიონის ქვემო ანაგის კოლმეურნეობაში და მდიდარი ცოდნით დაბრუნდნენ უკან.

საშეფო მუშაობის კიდევ უფრო ამაღლების მიზნით „კოლმეურნის“ ცენტრალურმა საბჭომ ყამირელი მეგობრებისათვის გამოჰყო 300 მანეთის სპორტული ფორმა და ინვენტარი და გადაწყვიტა: ძალოსანთა ნაკრებ გუნდს ყამირელებისათვის ადგილზე მოეწყო საჩვენებელი შეჯიბრებანი.

მალე დადგენილება სისრულეში იქნა მოყვანილი. უსტ-კამენოგორსკში სოფლის ძალოსანთა საკავშირო პირველობის დამთავრების შემდეგ, ძალოსანთა მთელი კოლექტივით კვლავ ვეწვიეთ მასპინძლებს. საშეფო მეურნეობაში მიმავლებმა ვნახეთ, თუ რა შეძლებია გამრჯე ადამიანის მარჯვენას, დავათვალიერეთ მათ მიერ ათვისებული მიწები, ვნახეთ სატრაქტორო-სარემონტო სადგური, მეღორეობისა და მეცხოველეობის ფერმები, ბეღლები, კეთილმოწყობილი საცხოვრებლები, კულტურული დასვენების კერები, სპორტული ბაზები.

ყამირელები მოუთმენლად ელოდნენ ჩვენი ძალოსნების ოსტატობის დემონსტრირებას. შეკრებილთ ვესაუბრეთ სპორტის ამ სახეობის მნიშვნელობაზე, გავაცანით შეჯიბრების ჩატარების ორგანიზაცია და წესები, რის შემდეგ შტანგასთან თავიანთი ძალები სცადეს ნაკრების წევრებმა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონებმა სოფლის ძალოსანთა შორის ფოლოსანმა და დათიკაშვილმა, აგრეთვე ამბარიანმა, კოჩიევმა, ჯეირანოვმა, ყუბანეიშვილმა, პაპიძემ, ხვედელიძემ.

კლასიკური ხაჭიდის ყოველი მოძრაობის დამთავრების შემდეგ დარბაზიდან გვესმოდა მოწონებ ს შეძახილები. წარმატებით გამოვიდნენ ახალციხის რაიონის სოფ. წყრუთის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის სპორტსმენი, ოსტატი ფოლოსიანი, ცხინვალის რაიონის სოფ. თამარაშენის შტანგისტი, სპორტის ოსტატი კოჩიევი და ყუბანეიშვილი.

საჩვენებელი გამოსვლების შემდეგ მასპინძლებთან მოიწყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ყამირელებმა ჩამოაყალიბეს ძალოსნების სექცია, რომლის ხელმძღვანელია ტრაქტორისტ-კომბაინერი ნ. ბიდაკი.

ამავე დღეს ადგილობრივი ახალგაზრდობის თაოსნობით მოწვეულ იქნა კომკავშირულ-ფიზკულტურული აქტივის კრება, რომელმაც ახალი ღონისძიებანი დასახა სპორტული მუშაობის კიდევ უფრო ამაღლებისათვის. ხოლო ძალოსნობისათვის გამოყოფილ იქნა სპეციალური სამეცადინო ოთახი.

„კოლმეურნის“ სპორტსმენთა მორიგ ვიზიტს უნაყოფოდ არ ჩაუვლია. მან ახალი ბიძგი მისცა ყამირელთა მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობას. მეგობრობამ საზღვრები არ იცის და მისი შემდგომი გაფართოების მიზნით „კოლმეურნის“ ცენტრალურმა საბჭომ ახალი პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა — ახლო მომავალში სათხილამურო სპორტის მოყვარულებს ყამირზე გაუგზავნის ახალ საჩუქრებს — სარბენ თხილამურებს.

ამ კეთილშობილურმა განზრახვამ მადლიერებით აღავსეს ყამირელები: „არასოდეს დავივიწყებთ თქვენს ძმურ დახმარებას“. — გვითხრეს გამომშვიდობებისას მათ.

შ. კულულაშვილი

რინგზე არიან არმიელი მოკრივეები

თბილისის ოფიცერთა სახლის საზაფხულო პარკის სპორტულ დარბაზში გაიმართა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პირველობა კრივში.

განსაკუთრებით საინტერესო იყო ფინალური შეხვედრა უმჩატეს წონაში გ. ფერაძესა და ა. ალიკხასანოვს შორის. ტექნიკური უპირატესობა ფერაძის მხარეს იყო, რომელმაც გაიმარჯვა კიდეც ქულებით. მჩატე წონაში ოლქის ჩემპიონი გახდა გ. ფოროიანი, ქვემსუბუქში გაიმარჯვა სპორტის ოსტატმა ა. ერემიანმა, მსუბუქში — ვ. პოტაპოვმა.

საინტერესო იყო სპორტის ოსტატ ჯ. კვანტალიანისა და ვ. ცერცვაძის ორთაბრძოლა. კვანტალიანის გამოცდილებას მოწინააღმდეგემ დაუპირისპირა მონდომება. კვანტალიანმა ბრძოლა მოიგო ქულებით. ასევე ქულებით მოუგო კ. ხარლამპიდიმ სომხეთის ჩემპიონს გ. გეორქიანს.

დანარჩენ წონით კატეგორიებში ოლქის ჩემპიონები გახდნენ სპორტის ოსტატი ვ. ბიკოვი, ა. ხატაევი, სპორტის ოსტატი ე. სეკაჩოვი, და ვ. საკიანი.

გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვეს მე-7 კოლექტივის მოკრივეებმა (მწვრთნელი ხ. ვახტანგაძე).

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრება საოანადოდ არ იყო ორგანიზებული. დარბაზი, სადაც პირველობა მიმდინარეობდა, ძლივს იტევდა მონაწილეებს და ცხადია მაყურებლები ამ შემთხვევაში „თამაშგარე მდგომარეობაში“ დარჩნენ.

ა. ბაკანი.ე

ლელო

ფე-2 ბბ. № 200 (1836)

ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენა და სპორტული შეჯიბრება!..

ასეთი შეხამება იშვიათად ხდება ხოლმე.

და მაინც, რამდენიმე დღის მანძილზე ოპერისა და ბალეტის ლატვიის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი სანამ ეს შეჯიბრება ტარდებოდა. ე. ი. შეიძლება დავასკვნათ, რომ სპორტის ეს სახეობა, რომელშიც მიმდინარეობდა ასპარეზობა, თავისი ბუნებით ახლოს დგას ხელოვნებასთან.

ეს მართლაც ასე იყო, თუმცა მხოლოდ ამით არ შეიძლება აიხსნას ხალხის სიმრავლე რიგის ოპერისა და ბალეტის თეატრში. უბრალოდ, ლატვიის დედაქალაქის მშრომელებს უყვართ მხატვრული ტანვარჯიში და ამიტომ დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს პროფკავშირთა საკავშირო პირველობას ამ ულამაზეს სახეობაში.

დიდი წარმატება ხვდა წილად მოსკოვის „ტრუდის“ წარმომადგენელს ლ. სავენკოვას, რომელმაც ხამჯერ მიიღო ნებისმიერ ვარჯიშებში უმაღლესი შეფასება — 10 ქულა და პირად ჩათვლაში გაუსწრო ჩვენი ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონს ვ. სმოტრინას.

გუნდურ ჩათვლაში უძლიერესნი იყვნენ „ბურევესტნიკის“ ტანმოვარჯიშეები. გუნდის წარმატებაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს თბილისელმა სტუდენტებმა ნ. სალაძემ და ნ. ხერხეულიძემ.

• • •

სურათზე: ნ. სალაძე ასრულებს ვარჯიშს საგნით.

ფოტო ი. იუნაევისა.

თბილისი

უნივერსიტეტის 1962 წლის საჭადრაკო პირველობის ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდა 40 მოჭადრაკე.

ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ჩობანიანმა, როსტიაშვილმა, ხაჟალიამ, ქურჩიშვილმა, ფარცვანიამ, ცერცვაძემ და ტყეშელაშვილმა. მე-8 ფინალისტი გაირკვევა დამატებით მატჩ-ტურნირში 4 მოჭადრაკეს შორის, რომლებმაც შემდეგი ადგილები გაიყვეს.

ცერცვაძემ, ქურჩიშვილმა და ხაჟალიამ შეასრულეს პირველი თანრიგის ნორმა.

გ. მანიბ

ᲒᲝᲠᲘ

ქალაქის საჭადრაკო კლუბში დამთავრდა, [illegible] ტურნირი, რომელშიც 30-ზე [illegible] მონაწილეობდა.

პირველი ადგილი დაიკავა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის მოსწავლემ გ. კუთარაშვილმა.

• • •

გორის პირველობის ნახევარფინალში მონაწილეობდა 34 მოჭადრაკე. გაიმარჯვა ნ. ფანქელაშვილმა. მომდევნო ადგილებზე არიან გ. კუთარაშვილი, ვ. იაკოვენკო, გ. მთვარელიძე და ვ. გოზალიშვილი, რომლებიც ფინალში გავიდნენ.

გ. გოზალოვი

თბილისელები მ. ქარჩავა და გ. მეტრეველი გვეკითხებიან: ახლახანს ჩატარებულ ხაკავშირო პირველობაზე სპორტულ ტანვარჯიშში მოულოდნელად გამოიჩინა თავი მანამდე თითქმის სრულიად უცნობმა ი. ცაპენკომ, რომელმაც მოიპოვა ოქროს მედლები, გთხოვთ გაზეთის საშუალებით მოკლედ მაინც მოგვითხროთ მისი სპორტული ბიოგრაფია.

ᲡᲠᲝᲠᲢᲘᲡ სასახლეში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ტანმოვარჯიშეები. 15 ათასი მაყურებლის მზერა მიმართული იყო ტანვარჯიშულ იარაღებზე გამართული ბრძოლისაკენ.

მონაწილეთა შორის არიან სსრ კავშირის, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონები: ა. აზარიანი, ი. ტიტოვი, ბ. შახლინი, ლიდერთა ჯგუფში მოხვდა ნაკლებად ცნობილი ტანმოვარჯიშე უაზახეთიდან ი. ცაპენკო. დამთავრდა შეჯიბრება და დარბაზის შუაგულში, პროექტორის შუქით განათებული დგას იგი გამარჯვებულის კვარცხლბეკზე. ი. ცაპენკოს გადასცემენ ოქროს მედალს თავისუფალი ვარჯიშებისათვის.

... იური ცაპენკო ცხოვრობდა ძველ, შუასაუკუნებრივ ქალაქ ჩიმკენტში და 15 წლამდე ვერ შეძლო ბაგირზე ასვლა ფიზკულტურის გაკვეთილზე. მისი სპორტული გზის სტარტზე დგას რონოდის ბორბლებიანი ღერძი, რომელსაც იგი ჭიმავდა ორი ხელით. შემდეგ მის გზაზე დადგა ტყავის სახელურებიანი ტაიჭი. სწორედ მასთან ვერ გააწყო ვერაფერი იურიმ. იგი ტრიალებდა, აკეთებდა უთვალავ გაქნევსა და ბრუნს...

ტაიჭი ღია ცისქვეშ იდგა. მზე ლითონივით ახურებდა ტყავს, მაგრამ იური არ წყვეტდა ვარჯიშს. ძალაუნებურად მაღლა ეკავა სხეული და ცდილობდა არ შეხებოდა ტანვარჯიშული იარაღის გავარვარებულ გვერდებს.

ბოლოს მან მაინც მიაღწია საწადელს.

როგორც ტანმოვარჯიშეები ამბობენ — „ტაიჭს შეუძლია ყველა გააწბილოს“. მკაცრად უყურებს დაუნდობელ იარაღს ოლიმპიელი ნ. მილიგულო. ყვრიმალის ძვლებს ამოძრავებს მებრძოლი შახლინი, ძალთა მობილიზებას ცდილობს ა. აზარიანი, ხოლო ი. ცაპენკო სიამოვნებით მიდის ტაიჭთან.

შეჩერდა. ჩვეულებრივ დაიწყო თითები იალაღზე და დაიწყო. მსუბუქად, განიერი გაქნევებით, თითქო თავმომწონედაც. მისი სხეული ბზრიალასავით ტრიალებდა იარაღს ზემოთ. უკანასკნელი ბრუნი და მსუბუქი ჩამოხტომი. ტანმოვარჯიშე გაიყინა, დარბაზიც.

ტაბლოზე 9,7 ქულა აციათდა. მჭუხარე ტაშმა შეაზანზარა დარბაზი. ვიღაცამ დაიყვირა: „ცოტაა!“ 10 წუთის შემდეგ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მეორე მედალი გადავიდა ცაპენკოს მტკიცე ხელში.

ჩვენი ქვეყნის ახალი ორგზის ჩემპიონის — ი. ცაპენკოს გამარჯვებულთა კვარცხლბეკისაკენ მიმავალ გზაზე გადაღობილ მორიგ წინაღობას თვითონ იური წარმოადგენდა.

აი რა გვიამბო მისმა მწვრთნელმა:

— ცაპენკო ძლიერ განიცდიდა გარეშე ფაქტორების გავლენას. საჭირო იყო მისი სრული გამოთიშვა ხმაურის, შუქისა და დარბაზის ღელვისაგან. გარშემო შიშინებდნენ კინოაპარატები, ისმოდა ძახილი — „ჩამოვარდები იარაღიდან“. იური კი თავისას აკეთებდა...

მუსიკოსის მსგავსად იგი შეეჩვია საკუთარი შინაგანი ხმის მოსმენას. იგი თანდათან ერთვოდა მოძრავი სხეულის რიტმში და ივიწყებდა ყველაფერს.

ყველა დიდი ტანმოვარჯიშე აკეთებს ვარჯიშთა საკუთარ ნახაზს, აკეთებს იმდენად თავისებურს, რამდენადაც საინტერესოა თვითონ. ზოგიერთ ნახაზს ხელწერა არ ჭირდება — მიხვდები ვისიცაა. აზარიანი ძალით აწვება ფანქარს, ხოლო შახლინს ფაქიზად გამოჰყავს სწორი, მკაცრი და გამოკვეთილი ხაზები.

ცაპენკო მსუბუქი სრიალით ასრულებს ჩანახატს. ძალისმიერ ელემენტებს იგი ისეთი სიმსუბუქით ამთავრებს, თითქოს კუნთები აქ არაფერ შუაში ყოფილიყოს, ფრინავს ბუმბულივით. ჩამოხტომი — უკანა ყირამალა 180-გრადუსიანი ბრუნით მან შეასრულა თავისუფლად — კატისებური დრეკადობით. დარბაზს აღტაცების ჟრუანტელმა დაუარა.

ერთი საღამოს განმავლობაში ალმა-ატელი სტუდენტი მესამედ ავიდა გამარჯვებულთა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

ხელის ჩამორთმევა — ოქროს მედალი. ისევ აყლერდა აზახეთის ჰიმნი. არ შეიძლება შინაგან თვისებას არ დაუჯერო — 22 წლის იური ცაპენკოს სახით საბჭოთა სპორტმა ახალი ტალანტი შეიძინა.

ა. მიდლერი,
„ნოვოსტის“ ხააგენტოს კორესპონდენტი.

ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲣᲪᲕᲚᲔᲚᲘᲐ

საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის XIV ტურში პირველი გამარჯვება მოიპოვა ნეიმეტდინოვმა შამკოვიჩთან პარტიაში. სავონმა გიპსლისთან შეხვედრაში შეცდომით რამდენიმე ფიგურა შეწირა, რის შედეგად პარტია მოიგო გიპსლისმა. ყაიმით დასრულდა ტაიმანოვ-სპასკისა და შიანოვსკ-ბრონშტეინის პარტიები.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. ტალს უპირატესობა აქვს ლეინთან, პოლუგაევსკის — ბაგიროვთან, ავერბახს — ხოლმოვთან, კერესს — კოცთან, ვლადიმიროვს ზედმეტი პაიკი გაეჩინა გურგენიძესთან. რთულია სმისლოვ-ვასიუკოვის პარტიაში გადადებული პოზიცია.

XIV ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში მდგომარეობა ასეთია: სპასკი — 9,5 ქულა, ავერბახი, ხოლმოვი — 8 ქულა და თითო გადადებული პარტია თვითეულს, ბრონშტეინი — 8 ქულა.

• • •

ბრძოლა ჩემპიონის ოქროს მედლისათვის გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, მაგრამ უკვე გამოვლინდნენ პირველი ადგილის მთავარი პრეტენდენტები. ბ. სპასკი პირველი ტურებიდანვე ტონს აძლევს ლიდერთა ბრძოლას. მას ერთხანს დაეწიენ ვ. სმისლოვი, რ. ხოლმოვი, მაგრამ შემდეგ კვლავ ჩამორჩნენ. სპასკი წინა ჩემპიონატებშიც ყოფილა ლიდერი და დასასრულს დაუთმია პოზიციები, მაგრამ ლენინგრადელი გროსმაისტერი ჯერჯერობით განაგრძობს ლიდერობას დაუმარცხებლად. ახლა მისი უახლოესი კონკურენტებია ავერბახი და ხოლმოვი, შემდეგ მოდის გროსმაისტერთა მთელი ჯგუფი დაახლოებით 1-1,5 ქულის განსხვავებით. საფიქრელია, რომ ფინიშზე ბევრი მოულოდნელი ცვლილება მოხდება, მით უმეტეს, რომ ამ ჯგუფში არიან კარგი „მარათონელები“ დ. ბრონშტეინი, პ. კერესი, ვ. სმისლოვი, მ. ტალი და მ. ტაიმანოვი.

მაგრამ რატომ თამაშობს ტალი უფერულად? სად გაქრა მისი თამაშის იერიშები და მოულოდნელი კომბინაციები? განა შეშვენის ტალს 9 ყაიმი 12 პარტიაში? ყველაფერ ამას შეიძლება მხოლოდ ერთი ახსნა ჰქონდეს — ტალი დაიღალა. მართლაც უაღრესად ძნელია ერთი წლის მანძილზე მაღალ შემოქმედებით დონეზე ჩაატარო მატჩი მსოფლიო პირველობაზე მ. ბოტვინიკთან, მონაწილეობა მიიღო ევროპის გუნდურ პირველობაში, სტოკჰოლმისა და ბლედის საერთაშორისო ტურნირებში (ორივეგან პირველი ადგილი), სსრ კავშირის გუნდურ პირველობაში და ახლა 10 გროსმაისტერისა და 11 ოსტატის ბრძოლაში. თუმცა ტალს ჯერ აქაც არ დაუკარგავს პირველი ადგილის შანსები.

ბუნებრივია, ჩვენს გულშემატკივრებს აღონებს გურგენიძის წარუმატებელი თამაში. საქართველოს ჩემპიონმა თითქოს კარგად დაისვენა, მოემზადა გროსმაისტერ ავერბახთან ერთად შავი ზღვის სანაპიროზე. მიმდინარე ჩემპიონატში გურგენიძემ კარგად ითამაშა სმისლოვთან, კერესთან, ბრონშტეინთან, მაგრამ მას, როგორც ჩანს, ღალატობს ფიზიკური მომზადება. იგი ხშირად ცაიტნოტშია. ეს უკანასკნელი გამოწვეულია იმითაც, რომ მისი სადებიუტო რეპერტუარი არ არის საკმაოდ დამუშავებული, ამასთან გურგენიძე ზედმეტადაა დაჯერებული თავის ძალაში, რის გამოც ზოგჯერ აშკარად სახიფათო გაგრძელებას ირჩევს.

მ. ბოტვინიკთან მატჩის შემდეგ ბევრი ფიქრობდა, რომ ბრონშტეინის მზე ჩაესვენა, მაგრამ ეს ასე არაა. ბრონშტეინი იყო და დარჩა ძლიერ მოთამაშედ, იგი მხოლოდ დროებით იყო გატაცებული ახალი გზების ძიებით და ახლა კვლავ ჩადგა „მწყობრში“. მან წელს მოსკოვის ჩემპიონობა მოიპოვა და ამ ჩემპიონატშიც შესანიშნავად თამაშობს, მას არც ერთი პარტია არ წაუგია და პირველად დაამარცხა ტალი.

თ. გიორგაძე

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თასზე

დამთავრდა გუნდური პირველობა ჭადრაკში, რომელშიც მონაწილეობდნენ „ზარია ვოსტოკას“ „სოვეტაკან ვრასტანის“, „თბილისის“, „ვეჩერნი ტბილისის“, „ლენინსკოე ზნამიას“, „ლელოს“, საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომ ტეტისა და სხვათა კოლექტივები. შეჯიბრება ჩატარდა ორ ქვეჯგუფად.

პირველობისათვის ბრძოლა გაიმართა „სოვეტაკან ვრასტანისა“ და საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის გუნდებს შორის. ქალაქის ჩემპიონი გახდა რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის კოლექტივი, რომელმაც დაამარცხა მეტოქე ანგარიშით 3:2 და მოიპოვა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გარდამავალი თასი. გათამაშებაში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს „ლენინსკოე ზნამიას“ მოჭადრაკეებმა.



ჯერ კიდევ მიმდინარე სეზონის დასაწყისში გახდა ცნობილი, რომ თ. მდივანის სახით რესპუბლიკას შეემატა პერსპექტიული სპორტსმენი სიმაღლეზე ხტომაში. მან სულ მალე დაძლია ოსტატობის ზღვარი — 2 მ, საკავშირო პირველობაზე კი პირადი რეკორდი გაზარდა 203 სმ-მდე. მას შემდეგ ეს სპორტსმენი რეგულარულად ვარჯიშობს, ემზადება ახალ სეზონში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

სურათზე: თ. მდივანი ძლევს სიმაღლეს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

თანხმობა მიღებულია

როცა საბჭოთა კავშირისა და აშშ-ს მძლეოსნები მოსკოვში მორიგ მატჩში ძალებს სცდიდნენ მძლეოსნურ სექტორებზე, ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელები თათბირობდნენ, თუ სად და როდის ჩატარდეს ამ ქვეყნების მძლეოსანთა მეოთხე შეხვედრა. მაშინ საბჭოთა კავშირის მძლეოსნობის ფედერაციამ წინადადება შეიტანა მატჩი მოეწყოს 21–22 იკლისს, მაგრამ ამერიკელები ამ ვადებში შეჯიბრების ჩატარების წინააღმდეგ გამოვიდნენ.

ამგვარად, მოსკოვში მხარეები ვერ შეთანხმდნენ.

ამ დღეებში სსრ კავშირის მძლეოსნობის ფედერაციამ მიიღო აშშ-ს მძლეოსნობის სპორტსმენ-მოყვა-

რულთა კავშირის კომიტეტის პ[illegible] ზიდენტის პ. სობერის დეპეშა, [illegible] მელიც იტყობინება, რომ ამერი[illegible] ლები თანახმანი არიან [illegible] აშშ-სა და საბჭოთა კავშირ[illegible] მძლეოსანთა მეოთხე სამატჩო შ[illegible] ვედრა გაიმართოს 1962 წლის 21[illegible] 22 ივლისს კალიფორნიის [illegible] პადენა-ტექსასში. სტანფორდ[illegible] გერსიტეტის სტადიონზე.

მეოთხედფინალის წინ

ევროპის ქვეყნების ჩემპიონებს თასის VII გათამაშება სპეციალისტების დიდ ყურადღებას იპყრობს. მეოთხედფინალის შეხვედრებმა შეიძლება თასის საბოლოო ბედზეც იმოქმედოს, სწორედ ამიტომ სპორტული პრესა გაცხოველებულ კომენტარს უკეთებს განვლილ მატჩებს, ბევრს წერს მომავალ შეჯიბრებებსა და გუნდების შემადგენლობებზე.

უპირველეს ყოვლისა, დიდ ინტერესს იწვევს „რეალისა“ და „იუვენტუსის“ შეხვედრა. „რეალი“ თასის გათამაშებაში შარშანდელი მარცხის შემდეგ იძულებული გახდა მეტი ყურადღება მიეპყრო ეროვნული ჩემპიონატისათვის. აქ იგი დამაჯერებლად ლიდერობს — შორს ჩამოიტოვა დინამო-ჩენი მეტოქეები. ევროპის ჩემპიონების თასის გათამაშებიდან ესპანელებმა გამოიყვანეს „ვაშაში“ (უნგრეთი) და „ოდენზე“ (დანია). ახლა კი „რეალის“ მწვრთნელი მუნოზი უფრო სერიოზული ამოცანის წინაშე დგას. მეკარე ვისენტემ სერიოზული ტრავმა მიიღო, ამჟამად მას ბილბაოს „ატლეტიკოდან“ გადმოსული გამოცდილი ირაკლიანი ცვლის. მუნოზი მთავარ იმედს თავდასხმაზე ამყარებს, სადაც ერთი შემადგენლობა თამაშობს: მთეოსი-დელ სოლი- და სტეფანო-პუშკაში-ჰენტო. ასევე შეტევით ფეხბურთს თამაშობს „რეალის“ მეტოქე „იუვენტუსიც“. ეს გუნდი უკვე ზედიზედ მესამედ მონაწილეობს ევროპის ჩემპიონების თასზე. პირველ ორ გათამაშებაში იტალიელებს გზა გადაუღობეს „ვინერ შპორტკლუბმა“ და ცდნა-მ , წელს „იუვენტუსი“ ეროვნულ ჩემპიონატში მეტად მარცხიანად თამაშობს და მთელ თავის იმედს „რეალთან“ მოგებაზე ამყარებს. კარგი შთაბეჭდილება დასტოვა იტალიელმა თავდასხმამ ბელგრადის „პარტიზანთან“ შეხვედრებში (2:1 და 5:0). აქ თამაშობენ მორა-ნიკოლე-ჩარლზი-სიკორი-სტახ ნი. ოთხი მათგანი (ჩარლზის გარდა) იტალიის ნაკრების შემადგენლობაშია და ჩილში გაემგზავრება. მორა ყურადღებას იპყრობს შედეგიანი და მაღალტექნიკური თამაშ-თ. ზოგი მიმომხილველის აზრით, მეოთხედფინალის ეს ცენტრალური შეხვედრა დიდ (თუ გადამწყვეტს არა) როლს ითამაშებს თასის საბოლოო ბედში.

ერანაკლებ ინტერესს იწვევს „დუკლა“-„ტოტენჰემის“ შეხვედრაც. პრაღის არმიელთა კოლექტივი, რომელშიც ეროვნული ნაკრების რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელია, ამჟამად ერთ-ერთ უძლიერეს კლუბად ითვლება ევროპაში. აგრესიულად თამაშობს მისი თავდასხმა გაჰოცდილ ბოროვიჩკას (№ 9) ხელმძღვანელობით.

„ტოტენჰემ ჰოტსპერი“ ამჟამად მესამე ადგილზეა ინგლისის ჩემპიონატში. გარეშე სნაიპერის ბობი სმიტის მწყობრიდან გამოსვლა გუნდს აშკარად ეტყობა, მისი შემცვლელია ცენტრფორვარდი, 18 წლის ფრენკ საული. ინგლისელებმა ჯერჯერობით მწყობრიდან გამოიყვანეს „გურნ-კა“ (პოლონეთი) და „ფეინორდი“ (ჰოლანდია).

თასის მფლობელი „ბენფიკა“, რომელიც შარშანდელი შემადგენლობით თამაშობს, აქამდე ერთ მეტოქეს შეხვდა (კენჭისყრის თანახმად იგი პირველ ტურში თავისუფალი იყო). უნდა ითქვას, რომ „აუსტრიამ“ ვერ გაუწია ღირსეული წინააღმდეგობა პორტუგალიელებს. ავსტრიელები დამარცხდნენ ლისაბონში (1:5). ამჟამად „ბენფიკას“ მეტოქეა ძლიერი კლუბი „ნიურნბერგი“. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გასული წლის ჩემპიონი. იგი ახლაც ლიდერობს თავის ზონაში. გუნდის კაპიტანი და წამყვანი ფეხბურთელია მაქს მორლოკი (№ 8), რომელიც წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სეზონის საუკეთესო მოთამაშედ იქნა აღიარებული. „ნიურნბერგი“ თამაშობს მკვეთრ ძალისმიერ ფეხბურთს, მაღალ ტემპში.

მეოთხედფინალის უკანასკნელი წყვილია „სტანდარდი“ (ქ ლიეჟი, ბელგია)-„გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია). ბელგიელებს ჯერჯერობით „ბედი წყალობთ“ და აქამდე კენჭისყრით საკმაოდ იოლი მეტოქეები ხვდებოდათ.

არაერთი წინადადების მიუხედავად, ბელგიელებმა ვერ დაიყოლიეს კოპა დიტორვებინა „რეიმსი“. როგორც მიმომხილველებს მიაჩნიათ, ამ შეხვედრაში მოგების უკეთესი შანსი აქვს „გლაზგო რეინჯერსს“. შოტლანდიელებმა აქამდე ძლიეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონს — „ფორვერტსს“ ბერლინის მატჩში (4:1). რადგანაც ინგლისის ხელისუფლებმა ვიზები არ მისცეს გერმანელ ფეხბურთელებს, მეორე მატჩი გაიმართა ნეიტრალურ მოედანზე ქ. მალმეში (შვეცია). პირველ დღეს მატჩი შეწყდა ძლიერი ნისლის გამო, მეორე დღეს გაიმარჯვეს შოტლანდიელებმა (4:1).

იმის გამო, რომ მომავალ წელს ჩემპიონატის დასკვნითი თამაშება უნდა ჩატარდეს, ევროპის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა თასის გათამაშება ვადაზე ადრე ჩაატაროს. თასის ფინალი განხრახულია მოეწყოს რომის ოლიმპიურ სტადიონზე.

ბ. ბამრეკელი

„ფიორენტინა“ არ თმობს თასს

როგორც ცნობილია, გასული წლიდან დაწესებულ იქნა ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის გათამაშება. ამ თასის პირველ გათამაშებაში გამარჯვება მოიპოვა იტალიას „ფიორენტინამ“ (ქ ფლორენცია), რომელსაც უკვე ორი წელია უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციის ნებართვით წვრთნის წარსულში განოქმული ცენტრფორვარდი შანდორ ჰიდეკუტი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თასის მოპოვება „ფიორენტინას“ საკმაოდ ძვირად დაუჯდა. ადრე ეს გუნდი ყოველთვის იყო იტალიის ჩემპიონატის პრეტენდენტი, ახლა კი შუა ადგილი დიკავა.

წელს „ფიორენტინა“ ისევ წარუმატებლად თამაშობს იტალიის ჩემპიონატში, მაგრამ თასს არ თმობს. ამ დღეებში „ფიორენტინა“ ვენაში შეხვდა თავის ერთ-ერთ მთავარ მეტოქეს — „რაპიდს“. კენელებმა თასის მფლობელს ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. მატჩის დამთავრებას რამდენიმე წუთი აკლდა, როდესაც ანგარში იყო 6:0 სტუმრების სასარგებლოდ. ბურთები გაიტანეს „ფიორენტინას“ ცენტრფორვარდმა მილანმა (3), დელ ანჯელომ, იონსონმა და ჰამრინმა (ეს ორი ფეხბურთელი თამაშობს შვეიცარის ნაკრებშიც). მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო „რაპიდის“ ცენტრფორვარდმა შმიდტმა ორი საპასუხო ბურთის გატანა.

მიმომხილველები თვლიან, რომ ამჟამად „ფიორენტინა“ საუცხოო ფორმაშია და მოახერხებს თასის შენარჩუნებას. გუნდის მთავარი ძალაა თავდასხმა, სადაც თამაშობენ ჰამრინი - იონსონი - მილანი - დელ ანჯელო-პეტრისი. გარამარბები — ჰამრინი და პეტრისი გამოირჩევიან დიდი სისწრაფითა და აგრესიულობით, ხოლო ცენტრფორვარდი მილანი შედეგიანობით.

ახალი „ცირკი“

ამ ზაფხულს თბილისის სპორტის სასახლეში საგასტროლოდ იმყოფებოდა პროფესიონალ ჩოგბურთელთა დასი, რომელსაც ხელმძღვანელობდა წარსულში ცნობილი ჩოგბურთელი ჯ. კრამერი. დასს სწორედ ასეც ეწოდება — „კრამერის ცირკი“.

ახლა იქმნება ჩოგბურთელთა კიდევ ერთი „ცირკი“ დაკომპლექტებული ქალთაგ.ნ. იგი იმოგზაურებს როგორც აშშ-ს ქალაქებში, ისე უცხოეთის ქვეყნებშიც.

„ცირკის“ შემადგენლობაში იქნებიან გიბსონი, ჰარდი, ფაგეროსი, რეინგოლდსი (აშშ), მურმანი, კონოლი (სამხრეთ ამერიკა) და სხვანი.

გარდა ამ „ვარსკვლავებს“ შორის მოწყობილი მატჩებისა, „ცირკი“ რეკლამას გაუკეთებს ზოგიერთი ფირმის სპორტულ კოსტუმებს.

ფეხბურთელი თუ მძლეოსანი?

შვეიცარიის ფეხბურთელთა ნაკრებმა შარშან ითამაშა ბუდაპეშტში, სადაც დამარცხება განიცადა დიდი ანგარიშით. შვეიცარიელთა მწვრთნელმა მატჩის შემდეგ შეატყო, რომ უნგრეთის ნაკრების მცველი მატრაი 100 მეტრს გარბის 10,8 წამში, სიგრძეზე ხტება 7 მეტრზე, ხოლო სიმაღლეზე იღებს 183 სანტიმეტრს.

როცა მწვრთნელმა შინ დაბრუნების შემდეგ ამის შესახებ მოუთხრო შვეიცარიის მძლეოსანთა კავშირის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, მან ნაღვლიანად წარმოსთქვა: „ეს საშ ნელებაა პირდაპირ, ასეთი კაცი რომ ფეხბურთს თამაშობს. მატრაი რომ შვეიცარელი იყოს, იგი უეჭველად ოლიმპიური ნაკრების წამყვანი წევრი იქნებოდა მძლეოსნობაში“.



დღეს!

ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება

კალათბურთში

„დინამო“ (თბილისი) — კაკა (ბუქარესტი)

დასაწყისი 19 ს. 30 წ.

✦

11-14

დეკემბერი

საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა

კლასიკურ ჭიდაობაში

დასაწყისი 12 და 19 ს.

დამთავრდა ფეხბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე წრე. ამას წინათ მოეწყო მეოთხედფინალური ეტაპის კენჭისყრა, რომლის შედეგადაც გუნდები ასე განაწილდნენ: „დუკლა“ (პრაღა, ჩეხოსლოვაკია), „ტოტენჰემ ჰოტსპური“ (ლონდონი, ინგლისი); „რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი), „იუვენტუსი“ (ტურინი, იტალია); „ბენფიკა“ (ლისაბონი, პორტუგალია), „ნიურნბერგი“ (ნიურნბერგი, გფრ); „სტანდარდი“ (ლიეჟი, ბელგია), „გლაზგო რეინჯერსი“ (გლაზგო, შოტლანდია).

* * *

შედგა აგრეთვე ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის გათამაშების მეოთხედფინალის კენჭისყრა. ერთმანეთს ხვდებიან: „ფიორენტინა“ (იტალია)-„დინამო“ (ვილნიუსი, ჩეხოსლოვაკია); „მოტორი“ (იენა, გდრ), ან „ალიანსი“ (ლუქსემბურგი)- „ლეიქსესი“ (პორტუგალია), „უიპუშტი“ (უნგრეთი)-„დანფერმლანი“ (შოტლანდია), „ვერდერი“ (ბრემენი, გფრ)-„ატლეტიკო“ (მადრიდი, ესპანეთი).

რედაქტორი ი. უგულავა

სპორტული საზოგადოება „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭო და გაზეთ „ლელოს“ რედაქციის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებენ ა. კორინთელს მამა დედის

ნ. ბ. კორინთელის

გარდაცვალების გამო.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დალმართი № 12, დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 8-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 8-35-09, გამომშვების — 8-

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.